ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქი ბათუმი

N 1707
22/12/2020

1707-05-4-202012221642

2020-2021 წლების პროგრამის ფარგლებში შეშის ჩანაცვლება სხვა ალტერნატიული წყაროთი - ბრიკეტით - მოქალაქეთა განცხადებების განხილვა/შერჩევის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის რეზო ვარშანიძის 2020 წლის 21 დეკემბრის №4314-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. 2020-2021 წლების პროგრამის ფარგლებში შეშის ჩანაცვლება სხვა ალტერნატიული წყაროთი - ბრიკეტით მოქალაქეთა განცხადებების განხილვა/შერჩევის მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) რეზო ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი -კომისიის თავმჯდომარე;

ბ) იოსებ აბულაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოფლის მეურნეობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის მდივანი;

გ) მერაბ მიქელაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე - კომისიის წევრი;

დ) რამაზ ვერძაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოფლის მეურნეობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ე) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში - კომისიის წევრი.

2. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 07 აგვისტოს №1206 ბრძანება.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა